ხელშეკრულება N5

13.03.2015

ქ. ჭიათურა

ჩვენ, ხელშეკრულების მონაწილე მხარეები, ერთის მხრივ შპს "ეი-ბი-სი ფარმაცია", ს/კ 204927767, (შემდგომში "მიმწოდებელი") მისი დირექტორის მიხეილ აბრამიძის სახით და მეორეს მხრივ სსიპ ჭიათურის მუნიციპალიტეტის სოფ.ეწერის საჯარო სკოლა (შემდგომში "მიმღები"), მისი დირექტორის გოგა მოდებაძის სახით, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას და ვთანხმდებით შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. ხელშეკრულების საგანია მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე GRV33600000 მედიკამენტებისა და სამედიცინო დანიშნულების საგნების შესყიდვა.(მიმწოდებელი ყიდის და მიმღები ყიდულობს).

1.2. ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში გასაყიდი პროდუქციის ნუსხას, რაოდენობას, ფასებს მხარეები ადგენენ ურთიერთშეთანხმებით, მოწოდებული პრაის-ლისტის შესაბამისად.

1.3. მიწოდების ადგილია აფთიაქი "ფარმადეპო 23" რომელიც მდებარეობს შემდეგ მისამართზე: ქ. ჭიათურა ყაზბეგის N 2

2. მხარეთა ვალდებულებები

2.1. მიმწოდებელი ვალდებულია:

- დროულად მიაწოდოს "მიმღებს" პროდუქცია;
- მიმღებს გადასცეს ხარისხიანი და რაოდენობრივად უნაკლო მედიკამენტები.

2.2. მიმღები ვალდებულია:

- შეამოწმოს მედიკამენტების ვარგისიანობა და რაოდენობა გადაცემისას;
- დადგენილ ვადაში მოახდინოს მიღებული პროდუქციის საფასურის გადახდა.

2.3. მედიკამენტებისა და სამედიცინო ნაწარმი მიმღების მიერ მიღებულად ჩაითვლება მიმღების თანამშრომლის მიერ შესაბამის ზედნადებზე ხელმოწერისთანავე.

3. ანგარიშსწორების პირობები

3.1. ანგარიშსწორება წარმოებს წინასწარ, უნაღდო ანგარიშსწორების წესით.

3.2. ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს (ასორმოცდაათი)150 ლარს.

4. სხვა პირობები

4.1. მხარეები ვალდებულებას კისრულობენ სრულად აანაზღაურონ ის ზიანი, რომელიც მიადგა მეორე მხარეს მის მიერ წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობით ან არასრული შესრულების შედეგად.

4.2. ხელშეკრულების პირობების შეცვლა შეიძლება მხოლოდ მხარეთა წერილობითი შეთანხმებით;

4.3. ყველა იმ პირობის დადგომისას, რომელიც ამ ხელშეკრულებაში აღნიშნული არ არის მხარეები ურთიერთობისას ხელმძღვანელობენ სამეწარმეო ეთიკისა და მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნათა შესაბამისად;

4.4. მხარეთა შორის ამ ხელშეკრულებიდან წარმოშობილი ან მასთან დაკავშირებული ნებისმიერი დავა (მათ შორის შეწყვეტის, შესრულების და სხვა) განიხილულ და გადაწყვეტილ იქნება შესაბამისი უწყების სასამართლოს მიერ.

4.5. იურიდიული მისამართის, მომსახურე ბანკისა და სხვა რეკვიზიტების შეცვლის შემთხვევაში, მხარეები ვალდებულნი არიან შვიდი დღის განმავლობაში შეატყობინონ ერთმანეთს ამის შესახებ;

4.6. ხელშეკრულება ძალაში შედის მისი ხელმოწერის მომენტიდან და მოქმედებს ერთი წლის ვადით 2015 წლის 31 დეკემბრამდე

4.7. ხელშეკრულების ვადამდე შეწყვეტა შესაძლებელია მეორე მხარისათვის 2 კვირით ადრე წერილობითი შეტყობინების შემდგომ

4.8. წინამდებარე ხელშეკრულების ძალაში შესვლის შემდეგ გაუქმებულად ჩაითვლება მხარეებსა შორის მანმადე არსებული ყველა სახის ხელშეკრულება თუ შეთანხმება პროდუქციის მიწოდებასთან დაკავშირებით;

4.9. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, 2 (ორ) თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად.

5. მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები

მიმწოდებელი:	მიმღები:
შპს "ეი-ბი-სი ფარმაცია" იურ. მისამართი: ქ. თბილისი, სანაპიროს 10ა ტელ: 2 911 900 ფაქსი: 2 911 600	**სსიპ ჭიათურის მუნიციპალიტეტის სოფ. ეწერის საჯარო სკოლა** ს/ს ,,ლიბერთი ბანკი" ბ/კ LBRTGE22 ა/ა GE85LB0121181956526000
ს/კ 204927767 სს "თიბისი ბანკის" მარჯანიშვილის ფილიალი ბანკის კოდი 220101850 ა/ა GE11TB1100000015467715 საკ. ანგარიში 800161	ს/კ 215606422 მის: ქ.ჭიათურა სოფ.ეწერი ტ.577 31 54 99
დირექტორი	დირექტორი
მიხეილ ებრამიძე	გოგა მოდებაძე